

ხშირად დასმული კითხვები

საკითხები: 2018 წლის საკონკურსო თემატიკა
პროექტის რეგისტრაცია
პროექტში მონაწილე სუბიექტები
ბიუჯეტი
გეგმა-გრაფიკი

2018 წლის საკონკურსო თემატიკა

1. კითხვა: რას გულისხმობს „ქართული მეცნიერება ღვინის შესახებ“?

პასუხი: „ქართული მეცნიერება ღვინის შესახებ“ გულისხმობს საქართველოში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებსა და საერთაშორისო კვლევებს, რომლებიც შესაძლებელია გაზიარებული იყოს ქართული ღვინის წარმოებაში. თემატიკა შეიძლება მოიცავდეს მეცნიერების ნებისმიერ მიმართულებას, მაგალითად: მეღვინეობა, მევენახეობა, ნიადაგმცოდნეობა, ღვინის მიკრობიოლოგია, ვაზის გენეტიკა, ინჟინერია და ტექნოლოგიები, აგრარული ეკონომიკა, ღვინის მეწარმეობის ეკონომიკა, ეთნოლოგია, ისტორია, არქეოლოგია და სხვა მრავალი.

პროექტის რეგისტრაცია

2. კითხვა: სავალდებულოა თუ არა, პროექტის ყველა მონაწილის დარეგისტრირება GMUS-ში?

პასუხი: დიახ, GMUS-ში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულმა ყველა მონაწილემ.

3. კითხვა: როგორ დავარეგისტრირებ პროექტში ჩართული უცხოელი მეცნიერები GMUS-ში?

პასუხი: ამ კონკურსში უცხოელი მეცნიერის რეგისტრაცია ხორციელდება გამარტივებული წესით. GMUS-ის რეგისტრაციის დასაწყისში აირჩიეთ Foreign scientist/expert, ქართულად ჩაწერეთ მისი სახელი, გვარი და დაბადების თარიღი. შექმენით მათთვის ელექტრონული ფოსტა Gmail-ზე და გაააქტიურეთ უცხოელი მეცნიერის ანგარიში. ამის შემდეგ, მის პროფილში შეიტანეთ სახელი და გვარი ინგლისურად, აკადემიური ხარისხი/სტატუსი და დაიმახსოვრეთ შეტანილი ინფორმაცია. პროექტის რეგისტრირების დროს, პერსონალში დაამატეთ აღნიშნული უცხოელი მეცნიერი GMUS-ის ბაზის მიერ მინიჭებული ID ნომრის მითითებით. ატვირთეთ მისი CV თავისუფალ ფორმატში და თანხმობის წერილი.

4. კითხვა: GMUS-ში მხოლოდ წამყვანი ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს?

პასუხი: პროექტში წამყვანი ორგანიზაციის გარდა აუცილებელია, GMUS-ში დარეგისტრირდეს თანამონაწილე ორგანიზაცია (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია.

5. კითხვა: რა ენაზე ივსება დანართები?

პასუხი: დანართები ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროექტში მონაწილე სუბიექტები

6. კითხვა: აუცილებელია თუ არა თანამონაწილე ორგანიზაციის არსებობა?

პასუხი: არ არის სავალდებულო პროექტში ჩართული იყოს თანამონაწილე ორგანიზაცია.

7. კითხვა: რა სამეცნიერო ხარისხს უნდა ფლობდეს პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხს.

8. კითხვა: შეიძლება თუ არა, ახალგაზრდა მეცნიერის (მაგ. მაგისტრანტის) სამეცნიერო კომიტეტში ჩართვა?

პასუხი: არა, სამეცნიერო კომიტეტის წევრი აუცილებელია, იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

9. კითხვა: აუცილებელია თუ არა, ზუსტად იყოს მითითებული სამეცნიერო კომიტეტის წევრების რაოდენობა?

პასუხი: დიახ, სამეცნიერო კომიტეტის წევრები, ისევე როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, წარმოადგენენ პროექტის ძირითად პერსონალს და მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა პროექტში სავალდებულოა.

10. კითხვა: საჭიროა თუ არა, დამხმარე პერსონალის დარეგისტრირება ბაზაში?

პასუხი: არა, დამხმარე პერსონალი არ რეგისტრირდება GMUS-ში. საჭიროა პროექტის ხელმძღვანელმა მიუთითოს დამხმარე პერსონალის რაოდენობა და პოზიციები პროექტის შესაბამის ველეებში.

11. კითხვა: შეიძლება თუ არა, კონკურსზე წარმოდგენილ პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულ პირებმა მონაწილეობა მიიღონ სხვა კონკურსებში, მაგალითად ფუნდამენტურ კვლევების საგრანტო კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლოა პროექტში ჩართულმა ძირითადმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღოს სხვა კონკურსებში.

12. კითხვა: შეიძლება თუ არა, სამეცნიერო კომიტეტის წევრების ნაწილი დამხმარე პერსონალში გადავიყვანოთ?

პასუხი: არა, არ შეიძლება ერთი და იგივე პირი პროექტში ჩართული იყოს 2 სტატუსით: ძირითადი პერსონალის და დამხმარე პერსონალის სტატუსებით.

ბიუჯეტი

13. კითხვა: შესაძლებელია თუ არა, უცხოელი მომხსენებლისათვის შევისყიდო საერთაშორისო მგზავრობის ბილეთი და გავიღო ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები?

პასუხი: დიახ, გრანტის ფარგლებში შეგიძლიათ გაიღოთ წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება საქონელი და მომსახურების მუხლს. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „პროექტის ბიუჯეტის დეტალური ხარჯვითი კატეგორიები“ - დანართი 5, მუხლი 4.2.

14. კითხვა: ითვალისწინებს თუ არა, პროექტის ბიუჯეტის კლასიფიკატორი დარბაზის დაქირავების ხარჯებს?

პასუხი: დიახ, დარბაზის ქირავნობის ხარჯები გათვალისწინებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების კუნქტში“ (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „პროექტის ბიუჯეტის დეტალური ხარჯვითი კატეგორიები“ - დანართი 5, მუხლი 4.7)

15. კითხვა: თანამონაწილე ორგანიზაცია არის თუ არა გრანტის მიმღები?

პასუხი: დიახ, თანამონაწილე ორგანიზაცია (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) წარმოადგენს გრანტის მიმღებს.

16. კითხვა: შესაძლებელია თუ არა კონფერენციაზე სარეგისტრაციო გადასახადის დაწესება?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ კონფერენციაზე სარეგისტრაციო გადასახადის დაწესება იმ პირობით, რომ ეს თანხა მოხმარდება პროექტის განხორციელებას.

17. კითხვა: თანადაფინანსების თანხის ხარჯვის დასადასტურებლად რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს გრანტის მიმღებმა?

პასუხი: მონიტორინგის მიზნებისათვის გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

18. კითხვა: სავალდებულოა თუ არა, სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრი იყოს საგრანტო დაფინანსების მიმღები?

პასუხი: არ არის სავალდებულო სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრი იღებდეს საგრანტო დაფინანსებას.

19. კითხვა: რა ხარჯის გაწევა შეიძლება თანადაფინანსების თანხიდან და ვინ შეიძლება იყოს თანადაფინანსებელი?

პასუხი: თანადაფინანსების თანხით ხდება პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილის დაფარვა. თანადაფინანსებელი შეიძლება იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი.

გეგმა-გრაფიკი

20. კითხვა: შესაძლებელია თუ არა კონფერენციის ჩასატარებლად შერჩეული იქნეს ორი ადგილი? (ქალაქგარეთ და თბილისში?)

პასუხი: დიახ, შესაძლებელია კონფერენციის ჩასატარებლად შერჩეულ იქნეს ორი ადგილი.